შეთანხმება N1

შუახევის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,ინტერავტო თრეიდინგს“ , შორის 2019 წლის 01 აპრილს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 54 -ში ცვლილებების შეტანის თაობაზე

დაბა შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,ინტერავტო თრეიდინგს“ შორის 2019 წლის 01 აპრილს დაიდო N 54 ხელშეკრულება შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანებისთვის (მიცუბიში ლ-200,სახ.ნომ-SG-082-GS და XVX-225) მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავების სახელმწიფო შესყიდვაზე (კონსოლიდირებული ტენდერი CON180000051).

შემსყიდველის მიერ არ განხორციელებულა დროული მოთხოვნა საქონლის მიწოდებაზე და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადა არის ამოწურული. ვინაიდან აღნიშნული გამოწვეული არ არის მიმწოდებლის ბრალეულობით შესაძლებელია საქონლის ვადის მიწოდების გაზრდა .

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), **მერის ფრიდონ ფუტკარაძის** სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ინტერავტო თრეიდინგი“ აღმასრულებელი დირექტორის ალექსანდრე ბეროშვილის (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის 2019 წლის 01 აპრილს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 54 ხელშეკრულების მე-9 მუხლის საფუძველზე შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“.

2. დანართი 1 -ში მიწოდების თარიღი განისაზღვროს 2019 წლის 30 ოქტომბრამდე.

3. ხელშეკრულების დანაჩენი მუხლები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანი ხელშეკრულების მიმართ.

4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად და წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 28 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N95 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. წინამდებარე მხარეთა შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

შემსყიდველი შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ფრიდონ ფუტკარაძე	მიმწოდებელი შპს ,,ინტერავტო თრეიდინგი“ ალექსანდრე ბეროშვილი

Shuakhevi municipality

Digitally signed by Shuakhevi municipality
Date: 2019.10.08 12:30:11 +04'00'

Interavto Treidingi LLC

Digitally signed by Interavto Treidingi LLC
DN: cn=Interavto Treidingi LLC, 2.5.4.97=NTRGE-206211936, o=[illegible], c=GE
Date: 2019.10.08 11:10:50 +04'00'